

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ  
საკითხთა, განათლების, კულტურისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. ლანჩხუთი

22.09.2022 წელი

11.00 საათი

**სხდომას უძღვებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიციანიშვილი**;

**კომისიის წევრები:** დარეჯან ბურჭულაძე, კარლო წილოსანი, მაკა მშვიდლობაძე, გოჩა ჯანაშია, ელისო ჭიჭინაძე.

**კომისიის სხდომას არ ესწრებოდა:** ირმა მგელაძე, რეზო კვერენჩილაძე, ნინო მშვიდლობაძე, ლოლიტა ურუშაძე.

**სხდომას ესწრებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე**, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია**.

**სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიციანიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“

/მომხსენებელი: კარლო კვიციანიშვილი/

2. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტის გიორგი დოლიძის განცხადების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: კარლო კვიციანიშვილი/

3. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

**კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიციანიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის კოდი: 06 02 23 პროგრამის ბიუჯეტი 51600 ლარი) და „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის კოდი: 06 02 17 პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 40000 ლარს. ადრეული განვითარების პროგრამის ტრანსპორტირებისთვის ვალდებულება აღებულია 6000 ლარზე, რეაბილიტაცია აბილიტაციის ტრანსპორტირებისთვის გახარჯულია 24230 ლარი და დარჩენილია 9770 ლარი. მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების რაოდენობის შესახებ, რომლებიც საჭიროებენ „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით სარგებლობას. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით 1 ბავშვი საჭიროებს „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობას. ხოლო 3 აღსაზრდელი „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით სარგებლობას. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას.“ ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიძებნოს ფინანსური რესურსი სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვებისთვის მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. საჭიროა ზემოაღნიშნულ ორივე პროგრამაში როგორც პროგრამულ ბიუჯეტში ასევე სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში მიეთითოს შენიშვნის სახით ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებზე არ გავრცელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ვალდებულების ჩანაწერი. „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობისთვის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მობილიზება საჭირო არ იქნება და იგი განხორციელდება არსებული რესურსის ფარგლებში. ხოლო 3 ბავშვის ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში საჭირო იქნება დამატებით ბიუჯეტში 3000 ლარის დამატება. დღეის მდგომარეობით ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 21- მდე გაიზარდა რის გამოც წლის ბოლომდე პროგრამაში საჭირო იქნება დაახლოებით 10000 (ათი ათასი) ლარის დამატება პლუს 3000 ლარის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირებისათვის. ჯამში „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში 13000 ლარის დამატება იქნება საჭირო.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჯანაშიამ განაცხადა, რომ მიესალმება ყველა ინიციატივას, რომელიც უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2022 წლის 27 სექტემბრის სხდომას განსახილველად.

## **მომხრე 6; წინააღმდეგი -0**

2. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტის გიორგი დოლიძის ღია წერილის განხილვის თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიციანიშვილმა. მან კომისიის წევრებს გააცნო წერილი, სადაც აღნიშულია, რომ ზოგადად თეატრალური უნივერსიტეტი ამზადებს კადრებს ქართული თეატრისა და კინოსთვის, ისინი რვა წელია აგროვებენ მასალებს ეროვნული თეატრალური ენციკლოპედიისთვის, სადაც ჯეროვანი ადგილი დაეთმო ლანჩხუთის თეატრის განვითარებას. რედაქცია ამჟამად მუშაობს ასო „ა“ ზე და მათი ყურადღება მიიპყრო გვარმა ასკურავამ. კერძოდ, ივანე და ელენე ასკურავებმა, რომელთა მოღვაწეობა, ჯერ კიდევ წინა საუკუნეში შეიტანა იოსებ იმედაშვილმა თავის ნაშრომში - „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“.

2007 წლის გაზით „ლანჩხუთი პლუს“-ის მაის-ივნისის ნომრებში გამოქვეყნებულ იქნა სტატიები და-ძმა ასკურავების თავდადებულ მოღვაწეობაზე თეატრის დაარსების საქმეში. მისი თქმით ცალკე წიგნად უნდა გამოიცეს და ღირსეული პატივი უნდა მივადგოთ, გულანთებული ლანჩხუთელების ხსოვნას, რომლითაც თავიანთი მოკრძალებული მოღვაწეობით მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს დრამატულ თეატრს.

მერის მოადგილემ ქალბატონმა ეკა გუჯაბიძემ განაცხადა, რომ სამწუხაროდ მუნიციპალიტეტს არ აქვს შესაბამისი პროგრამა, რომ დააფინანსოს წიგნის გამოცემა.

საკრებულოს წევრმა ელისო ჭიჭინაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მისი დიდი ხნის სურვილია გაკეთდეს ფონდი ლანჩხუთელებისთვის და შესაძლებლობა მიეცემათ დაეხმარონ ისეთ ადამიანებს რომელთაც სხვადასხვა პრობლემა აქვთ. თუნდაც წიგნის გამოცემის სურვილი აქვთ ან სამედიცინო დახმარება ესაჭიროებათ.

კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ საკმაოდ ბევრი შემოქმედი ადამიანი ითხოვს წიგნის გამოცემას და ვერ აფინანსებენ, ამდენად მიზანშეწონილია ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობამ, შესაძლებლობების ფარგლებში, დაუფინანსოს წიგნის გამოცემა.

## **3. სხვადასხვა**

1. კომისიის თავმჯდომარემ კარლო კვიციანიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო წერილი (N: 19/31222591-31). მოქალაქე ომარ გოგუაძე ითხოვს დასაქმებას. ის არის 82 წლის, პენსიონერი, ჰყავს

მეუღლე, რომელიც ხშირად ავადმყოფობს. მისი თქმით, აქვს დიდი საშუალო გამოცდილება და ითხოვს ანტიკორუფციულ კომისიაში ან საკუადრაკო სკოლაში დასაქმებას.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისასაღმებელია, მიუხედავად ასაკის შრომისუნარიანი ადამიანია, მაგრამ საკრებულო საკანონმდებლო ორგანოა და ამდენად ვერ დაასაქმებს. მან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შერიას უნდა მიმართოს.

2. დარეჯან ზურჭულაძემ განაცხადა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალურ სასაფლაოზე პერიოდულად იწმინდება საფლავთან მისასვლელი გზები, მაგრამ არის უბატონო საფლავები, რომლების წლებია მოუვლელია. სასურველია მოხდეს საფლავების აღრიცხვა და დაწესდეს გადასახადი, რომ დაინაშნოს მომვლელები.

3. დარეჯან ზურჭულაძემ აღნიშნა, რომ ყველა ქალაქში მანქანების „პარკინგი“ ფასიანია, ამდენად მორაწმუნოილია ლანჩხუთშიც დაწესდეს გადასახადი და შესაბამისად გაიყიდოს აბონემენტი.

4. კარლო კვიციანიშვილმა განაცხადა, რომ ქალაქის ზიზლითეთეაში მისაწესრიგებელია თარიები და წიგნსაცავი საქაროებს გარემონტებას.

მერის თანაშემწემ ეკა გუჯაბიძემ განმარტა, რომ აუცილებლად მიექცევა ყურადღება ზიზლითეთეებს. გაურკრული პრინციპით შეიძენენ ახალ წიგნებს და დაგეგმილია სხვადასხვა სარემონტო ღონისძიებები.

5. კარლო კვიციანიშვილმა განაცხადა, რომ ქალაქის სასაგემო ზალს ესაქიროება დარჩაზის მიშენება.

ეკა გუჯაბიძემ განმარტა, რომ განვითარების ფონდი აწარმოებს საზაგემო ზაღების მოწესრიგებას და ამდენად ყველა ზაღში იგეგმება პრობლემების მოგვარება.

6. ელისო ჭიქინაძე დაინტერესდა, თუ როდის იგეგმება ქალაქის ცენტრში შუშის მოსაგდელის დამონტაჟება.

ამით კომისიის სხდომამ შემაომა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



კარლო კვიციანიშვილი

**IanCxuTis municipalitetis sakrebulo**  
**socialur sakiTxTa, ganaTlebis, kulturisa da axalgazrdul saqmeTa**  
**komisia**

2800 IanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,  
განათლების, კულტურისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის № 6 სხდომის  
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი

22.09.2022 წ.

2022 წლის 22 სექტემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა. სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

2. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტის გიორგი დოლიძის განცხადების განხილვის თაობაზე.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2022 წლის 27 სექტემბერის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: 1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტის გიორგი დოლიძის განცხადების განხილვის თაობაზე.

2. კომისიის გადაწყვეტილებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია შესაბამისი პროგრამა, რომ მსურველებს დაუფინანსოს წიგნის გამოცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



კარლო კვიციანიშვილი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,  
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი  
22.09.2022 წელი  
11.00 საათი

სახელი, გვარი	დაწვევის დრო	ხელმოწერა
1. თაგმუჯდომარე – კარლო კვიციანიშვილი	10:55	<i>ს. მ. მ.</i>
2. ნინო მშვიდლოზაძე	—	<i>მ. მ. მ.</i>
3. დარეჯან ბურკულაძე	10:55	<i>მ. მ. მ.</i>
4. ლოლიტა ურუშაძე	—	<i>მ. მ. მ.</i>
5. კარლო წილოსანი	10:55	<i>ს. მ. მ.</i>
6. ირმა მგელიაძე	—	<i>მ. მ. მ.</i>
7. მაკა მშვიდლოზაძე	10:55	<i>მ. მ. მ.</i>
8. გონა ჯანაშია	10:55	<i>მ. მ. მ.</i>
9. რევაზ კვერენჭილაძე	—	<i>მ. მ. მ.</i>
10. ელისო ჭიჭინაძე	10:55	<i>მ. მ. მ.</i>